

საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაციისა და სსიპ საარჩევნო
სისტემების განვითარების,
რეფორმებისა და სწავლების
ცენტრის საქმიანობის

2020 წლის ანგარიში

მაიში, 2021 წელი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

მის: საქართველო, თბილისი

დავით აღმაშენებლის ხეივანი №138

ტელ: +995 32 2 51 00 51

ვებგვერდი: www.cesko.ge

ხედვა, მისია, ღირებულებები	6
თავმჯდომარის წერილი	8
შესავალი	10
მოკლე შეჯამება	12
სტრატეგიული პრიორიტეტი 1. საარჩევნო კულტურა და განათლება	16
მიზანი 1.1. ამომრჩევლის და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება	17
მიზანი 1.2. ეთიკური ნორმების განმტკიცება და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობა	22
სტრატეგიული პრიორიტეტი 2. არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება	24
მიზანი 2.1. საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა	25
მიზანი 2.2. უსაფრთხო საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა	35
მიზანი 2.3. საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერ საფრთხეების აცილების მიზნით	36
სტრატეგიული პრიორიტეტი 3. საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგიები	37
მიზანი 3.1. საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება	38
მიზანი 3.2. ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარება ტექნოლოგიების გამოყენებით	41
მიზანი 3.3. საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობა	44
სტრატეგიული პრიორიტეტი 4. ინკლუზიური საარჩევნო გარემო	45
მიზანი 4.1. საარჩევნო პროცესებში მონაცვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაუმჯობესება	46
მიზანი 4.2. თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა	49
სტრატეგიული პრიორიტეტი 5. მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გაძლიერება	51
მიზანი 5.1. მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესება	52
მიზანი 5.2. ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება	54
დასკვნა	58



ბამოყენებული თარგმნები/აბრევიატურები

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ცესკო, ცესკოს აპარატი, უსკო, უსკოს აპარატი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები

ქსკო

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ქსკოს სტრუქტურული ერთეულები

ცესკოს დეპარტამენტები

სსკ

საოლქო საარჩევნო კომისია

სწავლების ცენტრი

სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

სამუშაო ჯგუფი

ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი

სტრატეგიული გეგმა

საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმა

არქაივი

ელექტრონული პროგრამა „არჩევნების მართვის სისტემა“

შპს პირები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები

USAID

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

IFES

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი

CoE

ევროპის საბჭო

OSCE/ODIHR

ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

NDI

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი

IRI

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი

ACEEEO

ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის



ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას განეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს (IFES), თანამშრომლობისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.




ევროპის საბჭოს (CoE), სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას განეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.



ევროპის კავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არსებული ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) საქმიანობის ხელშეწყობისთვის.



კანადის მთავრობას და არასამთავრობო ორგანიზაცია დელიან პროექტს (Delian Project) ტრენინგის „ჰიბრიდული დემინფორმაცია“ ორგანიზების მხარდაჭერისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის.



შვეიცარიის მთავრობას პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის შემუშავების პროცესის მხარდაჭერისთვის.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია როგორც ACEEEO-ს პრეზიდენტი 2020 წლის განმავლობაში, მადლობას უხდის ასოციაციის სამდივნოსა და წევრებს თანამშრომლობისთვის.

ასევე, მადლობას უხდის ყველა ორგანიზაციასა და მათ წარმომადგენლებს, რომლებმაც 2020 წლის განმავლობაში, მონაწილეობა მიიღეს ცესკოში შექმნილი მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში და წვლილი შეიტანეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში.

ცესკო მადლობას უხდის საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის თითოეულ თანამშრომელს პროფესიული სტანდარტებისა და საარჩევნო მოხელის ეთიკის ნორმების შესაბამისად შესრულებული სამუშაოსთვის.

ხედვა, მისია, ღირებულებები

ჩვენი ხედვაა, როგორც ღია, კომპეტენტურმა და სანდო ინსტიტუციამ უზრუნველყოს დემოკრატიული საარჩევნო პროცესის განვითარება და განმტკიცება.

ჩვენი მისიაა საარჩევნო კუდურის ამალღების ხელშეწყობა, თანაბრად ხელმისაწვდომი, ეფექტიანი, ინოვაციური სერვისების მიწოდება ამომრჩევღებისა და სხვა ჩართული მხარეღებისთვის, საარჩევნო პროცესების უსაფრთხოდ და სანდოობის საერთაშორისო სტანდარტით წარმართვა.

ხედვა, მისია, ღირებულებები

მისიის წარმატებით განსახორციელებლად გამოვხატავთ კორპორატიულ ერთგულებას შემდეგი ღირებულებებისადმი:

ღამოუკიდებლობა — ჩვენ ვმოქმედებთ მხოლოდ კანონის ფარგლებში და გადაწყვეტილებებს ვიღებთ არჩევნებში ჩართული მხარეების შეგავდენისგან დამოუკიდებლად;

მისაწვდომობა — ჩვენ ვიღებთ ობიექტურ და კანონზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს ყველა მხარის მიმართ;

ბაზუკიზაცია — ჩვენ უზრუნველვყოფთ საქმიანობის ღიაობას, საჭარობას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საზოგადოებისთვის;

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება — ჩვენ ვმოქმედებთ პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტით და კანონმდებლობით განსაზღვრული ინსტიტუციების გარდა რეგულარულად წარვუდგენთ საქმიანობის ანგარიშს საზოგადოებას;

პროფესიული სანდოობა და ეთიკა — ჩვენ საარჩევნო პროცესს წარვმართავთ კომპეტენტური და კეთილსინდისიერი მოხედვებით, რომლებიც უზრუნველყოფენ საარჩევნო პროცესის სანდოობას;

ინოვაციურობა და სიზუსტე ორიენტირება — ჩვენ საარჩევნო პროცესში ვწერგავთ სიახლეებს საჭიროებების გათვალისწინებით და ჩართულ მხარეებს ვანვლით ხარისხზე ორიენტირებულ მომსახურებას;

ინკლუზიურობა და გენდერული თანასწორობა — ჩვენ ხელს ვუწყობთ ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას და ვითვალისწინებთ გენდერული თანასწორობის ასპექტებს;

პროაქტიულობა და ჩართულობა — ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ყველა დაინტერესებულ მხარესთან სანდო, დემოკრატიული არჩევნების უზრუნველსაყოფად.



თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო მეგობრებო და საარჩევნო ადმინისტრაციის პარტნიორებო,

2020 წელი, ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო, იყო რთული წელი, როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ისე საქართველოსთვის. წლის დასაწყისში, ახალი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების პოზიტიური პერსპექტივით დაწყების შემდეგ, საარჩევნო ადმინისტრაციის მთავარ ამოცანად იქცა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ახალი საარჩევნო სისტემის შესაბამისად, უსაფრთხოდ და პროფესიულ დონეზე ჩატარება და ამავდროულად, ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავება.

ახალი გამოწვევების საპასუხოდ, შევისწავლეთ საერთაშორისო გამოცდილება, ასევე მივიღეთ მრავალი სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტილება. პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის შედეგად შევიმუშავეთ კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი და განვახორციელეთ კენჭისყრის პროცედურის ორგანიზებისთვის საჭირო პრევენციული ღონისძიებები. მოხარული ვარ, რომ ამ მიმართულებით საარჩევნო ადმინისტრაციის ძალისხმევა ამომრჩევლებმა და საერთაშორისო პარტნიორებმა დადებითად შეაფასეს.

დადებით შეფასებებთან ერთად დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშებში მოცემულია გარკვეული შენიშვნები, ყურადღასს სთხოვთ, რომლებიც შემდგომ მუშაობას მოითხოვს. ამასთან, წარმოდგენილია ღირებული რეკომენდაციები, რომელთა განხორციელებაც საარჩევნო პროცესის დახვეწასა და შემდგომ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. საარჩევნო ადმინისტრაცია გეგმავს კომპეტენციის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი საკითხი გაითვალისწინოს სამომავლო საქმიანობაში.

საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით განხორციელებულმა პროექტებმა დამატებით გააჩინა სამომავლო მრდის პერსპექტივები. კერძოდ, ამერიკულ პარტნიორებთან ერთად გავაუმჯობესეთ კიბერ-უსაფრთხოების მიმართულება, კანადელ პარტნიორებთან ერთად ვიმუშავეთ ჰიბრიდული დემინფორმაციის საკითხებზე ცნობიერების გაზრდასა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაზე. ამასთან, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით გავხსენით ინფორმაციის დაცულობის ცენტრი, რომელიც მონიტორინგს უწევდა არჩევნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. აღნიშნული საქმიანობები ასევე პასუხობდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის წინაშე იდგა – დემინფორმაციისა თუ ყალბი ინფორმაციის გავრცელებით საარჩევნო პროცესის დაზიანების მცდელობა. მაქსიმალურად გამჭვირვად გავხადეთ საარჩევნო პროცესი და გამოვაქვეყნეთ სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაცია და დროულად ვახდენდით საზოგადოების ინფორმირებას მიმდინარე პროცესების შესახებ.

საარჩევნო ადმინისტრაციამ დიდი ძალისხმევა გასწია საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების ეთიკური ნორმების შემუშავებისა და აღიარებისთვის. ასევე, ყველა დონის საარჩევნო კომისიების წევრებმა ხელი მოაწერეს ეთიკის კოდექსს.

ჩავატარეთ ფართომასშტაბიანი ინფორმირების კამპანია როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩევლისთვის. ხელი შევუწვევთ ინკლუზიურ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას. ასევე, სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის ჩავატარეთ აპრობირებული საგანმანათლებლო პროგრამები და გავზარდეთ საარჩევნო ცოდნით აღჭურვილი მოქალაქეების რაოდენობა.

კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო სამწუხაროდ შეფერხდა რამდენიმე დაგეგმილი პროექტის განხორციელება, თუმცა ისინი 2021 წლის სამოქმედო გეგმაში გავითვალისწინეთ. შესაბამისად, მიღებული გამოცდილებისა და ახალი გამოწვევების ფონზე 2021 წლისთვის საარჩევნო ადმინისტრაცია აქტიურად გააგრძელებს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესების გაუმჯობესებასა და დემოკრატიის გაძლიერებას.



თამარ შვანია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

▶ შესავადი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმის¹ შესრულების წლიურ ანგარიშს, რომელიც შემუშავებულია საარჩევნო ადმინისტრაციის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესის შესაბამისად ცესკოს სტრუქტურული ერთეულების, სწავლების ცენტრის, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი კვარტალური პროგრეს ანგარიშების საფუძველზე.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა – პირველი გეგმაა, რომელიც მოსალოდნელ შედეგებს ამოცანის შედეგის ინდიკატორებით ზომავს. აღნიშნული ცესკოს საშუალებას აძლევს, ყოველი წლის ბოლოს გაზომოს პროგრესი ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, რაც ხელს შეუწყობს შედეგებზე ორიენტირებული გეგმის განხორციელებას და ამასთან, ახალი მეთოდოლოგიითა და სტრუქტურით შემუშავებულ ანგარიშს უფრო ინფორმაციულს გახდის.

ანგარიშის მიზანია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების, აგრეთვე, საქმიანობების განხორციელების პროგრესის ჩვენება, მიღწევებისა და ხარვეზების გამოვლენა.

წლიური ანგარიშის შედგენის დროს გამოყენებული მეთოდოლოგიის თანახმად, შეფასდა ამოცანები და მათი შედეგის ინდიკატორების შესრულება, თუმცა, რიგ შემთხვევებში ამოცანის შედეგის ინდიკატორების გაზომვა არ იყო შესაძლებელი, რადგან ზოგიერთი საქმიანობა ობიექტური მიზეზების გამო საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა, ან შესაბამი ამოცანის შესრულება მოიცავს გრძელვადიან პერიოდს.

წინამდებარე ანგარიშის მომზადების პროცესში ნათელი გახდა, რომ ზოგიერთი საქმიანობის განხორციელება არ განაპირობებს ამოცანის შედეგის დადგომას. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა საქმიანობა სრულად შესრულდეს, მაგრამ ნაკლებად უზრუნველყოფდეს საბოლოო შედეგის გაზომვას საანგარიშო პერიოდში.

¹ ცესკოს 2019 წლის 26 დეკემბერის №213/2019 განკარგულება.

2020 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის მთავარი გამოწვევა იყო ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის, რთულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების (I და II ტური) ახალი საარჩევნო სისტემის შესაბამისად, უსაფრთხოდ და პროფესიულ დონეზე ჩატარება. საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან ერთად საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები (I და II ტური);
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ქალაქ თბილისის (კრწანისის №4.07 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი), თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები;
- კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები (I და II ტური).

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში კანონით დადგენილ ვადაში წარედგინა საქართველოს პარლამენტს. შესაბამისად, წლიური ანგარიში არ მოიცავს დეტალურ ინფორმაციას 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

ანგარიში მოიცავს 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშს თან ერთვის განხორციელებული საქმიანობების აღწერა ცხრილის სახით.

▷ მოკლე შეჯამება

წინამდებარე წლიური ანგარიში მომზადებულია საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება 2020-2023 წლების სტრატეგიულ გეგმას. სტრატეგიული გეგმა მოიცავს ხუთ პრიორიტეტს, 13 მიზანსა და 36 ამოცანას.

2020 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა 12 მიზნის 33 ამოცანის გადაწყვეტას 93 საქმიანობის განხორციელების გზით. გეგმა მოიცავდა აგრეთვე, ამოცანის შედეგის 38 და საქმიანობის შესრულების 216 ინდიკატორს.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1. საარჩევნო კულტურა და განათლება

ამომრჩევლისა და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირების მიზნით სხვადასხვა ჯგუფებისთვის სასწავლო პროგრამებისა და ინფორმირების კამპანიების ჩატარების შედეგად გაიზარდა საარჩევნო ცოდნით აღჭურვილი და ინფორმირებული მოქალაქეების რაოდენობა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს არჩევნებში მათი მონაწილეობის ხანგრძლივი ჩვევისა და კულტურის ჩამოყალიბებას.

ეთიკური ნორმების განმტკიცებისა და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობის მიზნით

გაგრძელდა ჩართულ მხარეებთან წინა წლებში დაწყებული თანამშრომლობა ეთიკური სტანდარტის დამკვიდრების ხელშეწყობისთვის. ცესკოს ინიციატივით შემუშავდა და ხელი მოეწერა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების ქცევის (ეთიკის) კოდექსს, პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსსა და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2. არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება

საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის

ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლები გაეცნენ საერთაშორისო გამოცდილებას დემინფორმაციის გავრცელების შესახებ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე გავრცელდა დეტალური სტატისტიკური ინფორმაცია და განცხადებები. აგრეთვე, გაგრძელდა თანამშრომლობა ჩართულ მხარეებთან მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებზე პოზიციების გაცვლისა და საარჩევნო პროცესზე მიკერძოებული დაკვირვების, როგორც ერთერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის ბეგავლენის შესამცირებლად. ცესკო პროაქტიულად ახდენდა საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებას საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და კენჭისყრის დღეს შეთავაზებული სერვისების შესახებ და გასცემდა მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას. კენჭისყრის შედეგების დამუშავებისა და გამოქვეყნების ახალი სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების სწრაფ და დროულ გასაჯაროებას.

უსაფრთხო საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით ცესკოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების, საარჩევნო სუბიექტებისა და მედია საშუალებების წარმომადგენლებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დანაყოფების თანამშრომლების გადამზადების შედეგად გატარდა პრევენციული ღონისძიებები კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოების მიმართულებით.

კიბერ საფრთხეების აცილებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით საკანონმდებლო/მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნა ცესკოს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის პოლიტიკის დოკუმენტები, ახალი სასერვერო ინფრასტრუქტურის მეშვეობით გაიზარდა კრიტიკული ინფორმაციის უსაფრთხოება და შესაძლებელი გახდა ამომრჩევლებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის განკუთვნილი ინტერნეტ სერვისების შეუფერხებელი და უსაფრთხო ფუნქციონირება. ამალდა თანამშრომელთა კვალიფიკაცია კიბერ-ჰიგიენის საკითხებში.

სტრატეგიული პრიორიტეტი 3. საარჩევნო სიჩქარე და ტექნოლოგიები

საარჩევნო სერვისების მოდერნიზაციისა და გაუმჯობესების მიზნით დანერგილმა საარჩევნო ოპერაციების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სტანდარტმა ერთგვაროვანი გახდა ცესკოდან სსკ-ებისთვის, ხოლო სსკ-ების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის გადაცემის პროცესი. მოწესრიგდა ცესკოსა და სსკ-ების ადმინისტრაციული შენობები და საჭირო ინვენტარით აღიჭურვა საუბნო საარჩევნო კომისიები. ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ერთი გამოცდა. არჩევნების მართვის სისტემა „არმასი“-ში ახალი მოდულების დამატებით შესაძლებელი გახდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისა და მათი წარმომადგენლების რეგისტრაციის ელექტრონულად განხორციელება. ამომრჩევლებს სხვადასხვა სერვისის გამოყენებით ჰქონდათ ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმების შესაძლებლობა.

ტექნოლოგიების გამოყენებით ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარების მიზნით ცესკოს ვებგვერდზე საჩივრების რეესტრის ახალი სტრუქტურის შესახებ სსკ-ების წევრების გადამზადებამ ხელი შეუწყო საჩივრების რეესტრში ინფორმაციის დროულად და სრულყოფილად განთავსებას. არჩევნების წინასწარი შედეგების დამუშავებისა და გამოქვეყნების ელექტრონული პროგრამის განვითარებამ, მიუხედავად საარჩევნო სუბიექტების უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობისა, შესაძლებელი გახადა კენჭისყრის შედეგების მისაღებ ვადებში გამოქვეყნება. ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრმა უზრუნველყო ამომრჩეველთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირება საარჩევნო საკითხებზე.

საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწისა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით ცესკოს აპარატისა და სსკ-ების დაგეგმვით დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესაძლებლობების გაძლიერებამ გააუმჯობესა საარჩევნო დაგეგმვისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების პრაქტიკა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 4. ინკლუზიური საარჩევნო ბაჩემო

საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გაუმჯობესების მიზნით

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ამომრჩევლების კენჭისყრაში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა საარჩევნო დოკუმენტაცია და საინფორმაციო მასალები. საარჩევნო უბნების შუშ პირების საჭიროებების გათვალისწინებით აღჭურვიდა და სხვა სერვისების შექმნით საარჩევნო ადმინისტრაციამ ხელი შეუწყო შუშ პირების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობას.

თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით ახლი გენდერული პორტალის შექმნამ ჩართული მხარეებისთვის ხელმისაწვდომი გახადა საარჩევნო ინფორმაცია დამუშავებად ფორმატში.

სტრატეგიული პრიორიტეტი 5. გაითვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური ბაძლიერება

მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით

საარჩევნო ადმინისტრაციამ წარმატებით გაიარა პირველი საერთაშორისო საკონტროლო აუდიტი და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის ფარგლებში მიიღო განახლებული სერტიფიკატი. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმის, აგრეთვე სსკ-ების საქმიანობის გეგმის შემუშავებითა და სსკ-ებში ფინანსების მართვის გაუმჯობესებით ხელი შეეწყო ინსტიტუციური ეფექტიანობის ზრდას.

ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარების მიზნით ჩატარდა საორიენტაციო სასწავლო კურსი ახლად დანიშნული/არჩეული თანამშრომლებისთვის, საარჩევნო ადმინისტრატორის კურსი საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები სსკ-ების მოქმედი წევრებისთვის. ტრენინგების წლიური გეგმისა და ცესკოს აპარატში მენეჯერების განხორციელებამ ხელი შეუწყო თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას.

აგრეთვე, ორგანიზაციული ეთიკისა და კორპორატიული კულტურის განმტკიცების ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა სოციალური აქციები მრავალშვილიანი და დაუცველი ოჯახების მხარდასაჭერად.

საქმიანობების განხორციელების დროს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ დიდი ძალისხმევა გასწია ახალი კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული პანდემიასთან დაკავშირებული როგორც ქვეყანაში დადგენილი წესებისა და სარეკომენდაციო მოთხოვნების, ისე საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებისა და რეკომენდაციების დასაცავად.

2020 წელს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ბიუჯეტმა შეადგინა 80 064 968 ლარი. აქედან არჩევნების ჩატარების ღონისძიებების ხარჯები იყო 51 220 074 ლარი, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება – 11 970 253 ლარი, ხოლო უშუალოდ საარჩევნო ადმინისტრაციის ხარჯები – 16 874 641 ლარი.

საერთაშორისო პარტნიორებმა საარჩევნო ადმინისტრაციას ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინეს. კერძოდ,

- USAID-მა და IFES-მა, 1 693 812 აშშ დოლარი სასერვერო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად;
- IFES-მა, 321 749 დოლარი სხვადასხვა სახის სადემინფექციო საშუალებების შესაძენად, ასევე 4 770 ლარი – ზამთარში განხორციელებული პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ ბრენდირებული მასალებისთვის;
- აშშ-ის საელჩომ, 213 154 ლარი სხვადასხვა სახის სადემინფექციო საშუალებების შესაძენად.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1.
საარჩევნო კულტურა და განათლება

▷ სტრატეგიული პრიორიტეტი 1. საარჩევნო კულტურა და განათლება

ეფექტური და ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით ამომრჩეველთა და სხვა ჩართული მხარეების ინფორმირება, რაც განამტკიცებს საარჩევნო კულტურას, გაზრდის ამომრჩევლებისთვის ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს ორ სტრატეგიულ მიზანს:

- ამომრჩევლისა და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება;
- ეთიკური ნორმების განმტკიცება და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობა.

მიზანი 1.1. ამომრჩევლის და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- ეფექტიანი საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრა და განხორციელება;
- ინოვაციური ინფორმირების კამპანიის განსაზღვრა და განხორციელება.

ამოცანა 1.1.1. ეფექტიანი საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრა და განხორციელება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა ცოდნა საარჩევნო საკითხებზე ამაღლებულია

საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა გაზრდილია მონაწილეთა უმეტესობის მიერ საგანმანათლებლო პროგრამა პოზიტიურად შეფასებულია

2020 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ და სწავლების ცენტრმა, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის საარჩევნო საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად განახორციელა სხვადასხვა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა. ახალგაზრდა ამომრჩევლისთვის ჩატარდა სამი საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 096-მა პირმა. სასწავლო პროგრამების განხორციელების შედეგად 2020 წელს გაიზარდა საარჩევნო ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდა ამომრჩევლების რაოდენობა, კერძოდ:

- საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სემესტრული სასწავლო პროგრამა „საარჩევნო სამართალი“ – სტუდენტებისთვის დისტანციურად განხორციელდა სწავლების ცენტრის საავტორო პროგრამა საარჩევნო სამართლის დარგში. პროგრამის განხორციელების შემდეგ კურსდამთავრებულთა რაოდენობა გაიზარდა 370-ით და 2015 წლიდან დღემდე მათი საერთო რაოდენობა შეადგენდა 3 571-ს;

- სასწავლო პროგრამა „საარჩევნო განვითარების სკოლა“ – 2020 წელს პირველად ჩატარდა ორჯერ, ზამთარსა და ზაფხულში. სასწავლო კურსის პროგრამას დაემატა სამი ახალი მოდული: ხმის მიცემის ელექტრონული საშუალებები, არჩევნები და კვლევები, დემინფორმაცია და ყალბი ცნობების გავრცელება საარჩევნო პერიოდში. 2020 წლამდე სასწავლო კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა და სხვა. პროგრამის განხორციელების შემდეგ კურსდამთავრებულთა რაოდენობა გაიზარდა 578-ით და 2015 წლიდან დღემდე მათი საერთო რაოდენობა შეადგენდა 3 046-ს;
- საპილოტე პროექტი „ახალგაზრდული ბანაკები“ – მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: დემოკრატიული პრინციპები, საარჩევნო სისტემები, საარჩევნო პროცედურები, არჩევნების ისტორია, საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელები, ინკლუზიური საარჩევნო გარემო, გამჭვირვალობის პრინციპი, ეთიკური სტანდარტები, გენდერული თანასწორობა, არჩევნების უსაფრთხოება, კრიზისების მართვა. პროექტი პირველად განხორციელდა და მასში მონაწილეობა მიიღო 148 პირმა.

სტატისტიკური მონაცემები ახალგაზრდა ამომრჩევლისთვის 2020 წელს განხორციელებული საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების შესახებ იხილეთ ცხრილში (1).

ცხრილი 1.


პროგრამის დასახელება	ასაკობრივი ჯგუფი	მონაწილეთა რაოდენობა
საარჩევნო სამართალი	უმალესი საგანმანათლებლო დანესებულებების სტუდენტები	370 მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში – 11
საარჩევნო განვითარების სკოლა	18-25 წელი	578 მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში – 69
ახალგაზრდული ბანაკები	21-29 წელი	148

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული ზომებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა დაგეგმილი საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა საჯარო სკოლებში XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის.

აღნიშნული პროგრამები ხორციელდება წლების განმავლობაში და ტრადიციულად მაღალ ინტერესს იწვევს ახალგაზრდებში. წლიდან წლამდე იზრდება როგორც პროგრამებში მონაწილეობის მსურველთა, ისე კურსდამთავრებულთა რაოდენობა. ინფორმაცია 2015-2020 წლების მიხედვით მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობის შესახებ იხ. დიაგრამებში (1), (2), (3).


დიაგრამა 1.

საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა საჯარო სკოლებში XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა წლების მიხედვით




დიაგრამა 2.

სემესტრული სასწავლო პროგრამა „საარჩევნო სამართალი“ მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა წლების მიხედვით



დიაგრამა 3.

**„საარჩევნო განვითარების სკოლა“
პროგრამის მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა წლების მიხედვით**



საარჩევნო ადმინისტრაციამ და სწავლების ცენტრმა ასევე განახორციელეს საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების, საარჩევნო სუბიექტებისა და მედიასაშუალებებისთვის. დისტანციურად განხორციელებული საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა გაიარა:

- 29 დამკვირვებელი ორგანიზაციის 45-მა წარმომადგენელმა;
- 15 საარჩევნო სუბიექტის 20-მა წარმომადგენელმა;
- 21 მედია ორგანიზაციის 25-მა წარმომადგენელმა.

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული ზომებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა საინფორმაციო პროგრამა „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზება“ პენიტენციური სისტემის წარმომადგენლებისთვის.

ამოცანა 1.1.2. ინოვაციური ინფორმირების კამპანიის განსაზღვრა და განხორციელება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

ინფორმირების კამპანიის პროცესში სიახლეები განსაზღვრული და განხორციელებულია

საარჩევნო ადმინისტრაციის და სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა კამპანიებმა ხელი შეუწყო საარჩევნო პროცედურებისა და სერვისების შესახებ სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირებას.

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის შეიქმნა და განხორციელდა შემდეგი ორი დისტანციური პროგრამა:

- საინფორმაციო პროგრამა „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი“ – საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირების ცნობიერების ამაღლებისთვის, საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერად გამოყენების პრევენციის უზრუნველსაყოფად. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 18 056-მა პირმა, ხოლო ტესტირება წარმატებით გაიარა 15 838-მა;
- საინფორმაციო პროგრამა „კენჭისყრის დღის პროცედურები“ – დაინტერესებული პირებისთვის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო პროცედურების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. პროგრამის ინტეგრირებულ ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 127-მა პირმა და ტესტირება წარმატებით გაიარა 93-მა.

საარჩევნო ადმინისტრაციასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებისა და საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფების ინფორმირებისთვის განხორციელდა ფართომასშტაბიანი ინფორმირების კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“. აღნიშნულ კამპანიას საარჩევნო ადმინისტრაცია 2017 წლიდან ახორციელებს.

კამპანიის ფარგლებში 2020 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისა და მოხალისეების მიერ ჩატარდა 270 შეხვედრა თბილისსა და 63 მუნიციპალიტეტის ცენტრებსა და სოფლებში, მათ შორის 40 შეხვედრა – ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში;
- სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა 3 263 მოქალაქე. გამოკითხულთა 71.84 პროცენტმა 2018 წელს გამართული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დროს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა „ძალიან კარგად“ ან „კარგად“ შეაფასა;
- გავრცელდა ოთხი სახის საინფორმაციო ფლაერი, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე – „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შესახებ“, „ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემების გადამოწმება“, „ხმის მიცემის პროცედურები“ და ცესკოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვა ახალგაზრდა ამომრჩევლისთვის, რომელთაც კენჭისყრის დღისთვის უსრულდებოდა 18 წელი;
- სწავლების ცენტრის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით, სსკ-ების წარმომადგენლებმა გამართეს 86 შეხვედრა 36 პოლიტიკური პარტიის 1 802 წარმომადგენელთან;

- საზღვარგარეთ მყოფ ამომრჩევლებს ცესკოს თავმჯდომარემ Facebook ლაივის საშუალებით მიაწოდა ინფორმაცია არჩევნებში მათი მონაწილეობის შესახებ, ასევე უპასუხა მათთვის საინტერესო კითხვებს. მომზადდა საინფორმაციო რგოლი, რომელიც განთავსდა ცესკოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში, ასევე დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან თანამშრომლობით განთავსდა საკონსულოების ვებგვერდებზე. გარდა ამისა, ცესკოს ვებგვერდზე შეიქმნა სპეციალური ბანერი, სადაც გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია საზღვარგარეთ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ;
- საქართველოს რეგიონებში, საგაზეთო ჩანართის სახით გავრცელდა ცესკოს თავმჯდომარის ინტერვიუ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

მიზანი 1.2. ეთიკური ნორმების განმტკიცება და საომქალაქო დიალოგის ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:

- პატივისცემასა და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის ხელშეწყობა არჩევნებში ჩართულ მხარეებთან;
- საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ეთიკური ნორმების პატივისცემის უზრუნველყოფა;
- ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ.

ამოცანა 1.2.1. პატივისცემასა და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის ხელშეწყობა არჩევნებში ჩართულ მხარეებთან

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

არჩევნებში ჩართულ მხარეებისთვის თანამშრომლობის მექანიზმები შემუშავებული და შეთავაზებულია

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციამ გააგრძელა წინა წლებში დაწყებული თანამშრომლობა ეთიკური სტანდარტის დამკვიდრების ხელშეწყობისთვის და საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებს შესთავაზა ეთიკურ ნორმებზე შეთანხმება და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება. ცესკოს თავმჯდომარემ და 33 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქცევის (ეთიკის) კოდექსს. დოკუმენტი პარლამენტის არჩევნებისთვის შემუშავდა და გულისხმობდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის შეთანხმებას პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის შესახებ.

ცესკომ შვეიცარიის სახელმწიფოს, USAID-ის და IRI-ის მხარდაჭერით გაუწია ფასილიტაცია პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის შემუშავების პროცესს. დოკუმენტი შეიქმნა პარტიების მონაწილეობით, საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და ეხმიანებოდა საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების, სხვა საერთაშორისო ჩართული მხარეებისა და საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში გაცემულ რეკომენდაციებს. დოკუმენტს ხელი მოაწერა 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებულმა 42-მა პარტიამ.

ამოცანა 1.2.2. საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ეთიკური ნორმების პატივისცემის უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ეთიკური ნორმები შემუშავებული, აღიარებული და დაცულია

საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ეთიკური ნორმების პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით ყველა დონის საარჩევნო კომისიების წევრებმა ხელი მოაწერეს ეთიკის კოდექსს. ეთიკური ნორმების აღიარება და გაზიარება მოხდა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა ნაწილის (83 პროცენტი) მიერ. ეთიკის კოდექსს ხელი არ მოაწერეს 3/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველოს“ მიერ დანიშნულმა კომისიის წევრებმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამეტის არჩევნების დროს იმ საჩივრების რაოდენობამ, რომელიც ეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, შეადგინა 862, აქედან ეთიკური ნორმების დარღვევას შეეხებოდა მხოლოდ სამი საჩივარი, რაც საერთო რაოდენობის 0,3 პროცენტია.

ამოცანა 1.2.3. ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

არჩევნებში ძალადობისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილება, აღიარებული სტანდარტები გაზიარებულია და საჭიროებები განხილულია

ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლების მიზნით დაგეგმილი იყო სამუშაო შეხვედრის ჩატარება საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან. ახალი კორონავირუსის გავრცელების საფრთხის გამო სამუშაო შეხვედრა გადაიდო მომდევნო წლისთვის. შესაბამისად, ვერ იქნა მიღწეული ამოცანის შედეგი.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2.

აჩრვნიბის სანდოობა და უსაფრთხოება

▷ სტრატეგიული პრიორიტეტი 2. არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება

უსაფრთხო, სანდო საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად არჩევნებში ჩართულ მხარეებთან ერთად ქმედითი მექანიზმების შემუშავება და განხორციელება.

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს სამ სტრატეგიულ მიზანს:

- საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა;
- უსაფრთხო საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერ საფრთხეების აცილების მიზნით.

მიზანი 2.1. საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ექვსი ამოცანის გადაჭრა:

- დემინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად მექანიზმების შემუშავება და განხორციელება;
- საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის განმტკიცება;
- გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გაძლიერება;
- არჩევნების შედეგების სწრაფი/დროული გასაჯაროების უზრუნველყოფა.

ამოცანა 2.1.1. დემინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

დემინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების მექანიზმი შექმნილია დემინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების რაოდენობა

დემინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების მიზნით ცესკომ 2020 წელს შეიმუშავა სპეციალური ინსტრუქცია, რომელიც გააცნო ყველა საოლქო საარჩევნო კომისიას. ინსტრუქციის შესაბამისად, 2020 წლის განმავლობაში მოხდა 30 (13 ბრიფინგი და 17 განცხადება) რეაგირება დემინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე.

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ცესკომ მნიშვნელოვნად მიიჩნია გამოქვეყნებინა დეტალური ინფორმაცია სხვადასხვა მხარეების მიერ გაჟღერებული ბრალდებების თაობაზე. ცესკომ მოამზადა და ვებგვერდზე გამოაქვეყნა შემდეგი სტატისტიკური ინფორმაცია:

- ბათილი ბიულეტენების სტატისტიკა 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან 2020 წლის პარლამენტის არჩევნების ჩათვლით (<https://cesko.ge/geo/static/3515/batili-biuletenebis-statistika-2002-tslidan-dghemde-saqartveloshi-chatarebuli-archevnebis-mikhedvit>);
- ინფორმაცია წინასწარი შედეგების გამოცხადების შესახებ (2012-2020 წლები) (<https://cesko.ge/geo/static/3518/informatsia-tsinastsari-shedegebis-gamotskhadebis-shesakheb-2012-2020-tslebi>);
- სტატისტიკური ინფორმაცია შემაჯამებელ ოქმებში მონაცემებთან დაკავშირებით და ბიულეტენების ნაკლებობის თაობაზე (<https://cesko.ge/geo/static/3512/statistikuri-informatsia-shemadjamebel-oqmebshi-monatsemebtan-dakavshirebit-da-biuletenebis-naklebobis-taobaze>);
- სტატისტიკური ინფორმაცია შესწორების ოქმებისა და ახსნა-განმარტებების შესახებ (<https://cesko.ge/geo/static/3526/statistikuri-informatsia-shestsorebis-oqmebisa-da-akhsna-ganmartebibis-shesakheb>);
- საარჩევნო სუბიექტებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების დავების განხილვის სტატისტიკა (<https://cesko.ge/geo/static/3550/saarchevno-subieqtibisa-da-sadamkvirveblo-organizatsiebis-davebis-gankhilvis-statistika>);
- საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრების ზოგადი სტატისტიკა (<https://cesko.ge/geo/static/3532/saolqo-saarchevno-komisiebshi-tsardgenili-sachivrebis-zogadi-statistika>).

ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლები გაეცნენ საერთაშორისო გამოცდილებას დემინფორმაციის გავრცელების საკითხებზე, ტრენინგი „ჰიბრიდული დემინფორმაცია“ კანადის არასამთავრობო ორგანიზაციასთან „Delian Project“ მჭიდრო თანამშრომლობითა და კანადის მთავრობის მხარდაჭერით ჩატარდა.

დემინფორმაციის გავრცელების პრევენციის მიზნით სასწავლო პროგრამის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ კურსს დაემატა მოდული დემინფორმაცია და ყალბი ცნობების გავრცელება საარჩევნო პერიოდში. გრანტით დაფინანსებული მიმართულების „პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარება“ ფარგლებში პროგრამების მონაწილეები გაეცნენ საკითხებს – ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი საარჩევნო გარემო და დემინფორმაციის გავლენა სანდო საარჩევნო გარემოზე. მედიის წარმომადგენლებთან გამართულ საინფორმაციო შეხვედრაზე მონაწილეებს დემინფორმაციისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხები გააცნო IFES-ის მიერ მონვეულმა ექსპერტმა.

გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის გაფორმებული ქცევის (ეთიკის) კოდექსის შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ და ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა აიღეს საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მცდარი ინფორმაციის გავრცელებაზე რეაგირებასთან დაკავშირებული თანამშრომლობის ვალდებულება.

მედიის მიერ გავრცელებულ დებინფორმაციასთან დაკავშირებით ცესკომ Facebook გვერდზე გაავრცელა ორი განცხადება. ორივე შემთხვევაში შესაბამისი რეაგირებისთვის წერილობით მიმართა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას. ქარტიის საბჭოს გადანყვეტილებით, ჟურნალისტებმა დაარღვიეს ინფორმაციის სიზუსტის პრინციპი.²

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო პერიოდში, USAID-ის მხარდაჭერითა და IFES-ის მეშვეობით ცესკოში ინფორმაციის დაცულობის ცენტრი ფუნქციონირებდა. ცენტრი ახორციელებდა მედიის მონიტორინგს, საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ყალბი სიახლეებისა და დებინფორმაციის გამოკვეთის მიზნით.

„ძალიან კმაყოფილი ვარ ცესკოს ხედმძღვანელობასთან შეხვედრით, რადგან ისინი ძალიან სერიოზულად უდგებიან ამ მნიშვნელოვან ინიციატივას. ვიმედოვნებთ, რომ ეს ცენტრი საზოგადოებასთან ურთიერთობების ახად უტაპზე გადასვლას შეუწყობს ხელს, ასევე ამომრჩეველთა სწორ ინფორმირებას და რა თქმა უნდა, გაზრდის ქართველი ამომრჩევლების მოტივაციას არჩევნებში მონაწილეობისთვის.“

აღაპ შპილტი

USAID-ის ეკონომიკური მხარდაჭერისა და სოციალური განვითარების ოფისის დირექტორი.

USAID-ის დემოკრატიული მმართველობისა და სოციალური განვითარების ოფისის დირექტორის ადამ შპილტისა და IFES-ის საქართველოს წარმომადგენლობის ხედმძღვანელის ქეთი მაისურაძის გაცნობითი ხასიათის ვიზიტი ცესკოში. 2020 წლის 7 ოქტომბერი.

ამოცანა 2.1.2. მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად მექანიზმების შემუშავება და განხორციელება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად შემუშავებული მექანიზმების რაოდენობა

მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შემცირების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციამ 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის დამკვირვებლად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის განახორციელა სასწავლო კურსი „სადამკვირვებლო ორგანიზაციების როლი საარჩევნო პროცესში“. ცესკოში რეგისტრირებული 120 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციიდან სასწავლო პროგრამა გაიარა 29 ორგანიზაციის 45-მა წარმომადგენელმა.

² დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:

<https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/85644> და <https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/85647>.

ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციაში შემოსული განცხადება/საჩივრების ანალიზი, რომლის შედეგები წარედგინა დაინტერესებული მხარეებს. სტატისტიკური ინფორმაცია ანალიზის მონაცემების შესახებ იხილეთ ბმულებზე: <https://cesko.ge/res/docs/-1.pdf>, <https://cesko.ge/res/docs/-21.pdf>.

ამოცანა 2.1.3. საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის განმტკიცება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის ფორმატები მონაწილეთა მიერ მხარდაჭერილია

2020 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციამ გააგრძელა ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობა შშმ პირთა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფების, ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) და „ვიმსჯელოთ ერთად“ ფორმატში. თანამშრომლობის აღნიშნული ფორმატები სარგებლობდა ჩართული მხარეების მაღალი მხარდაჭერით, რასაც მიუთითებს შეხვედრებში მათი წარმომადგენლების მონაწილეთა რაოდენობა. ინფორმაცია შეხვედრების მონაწილეთა შესახებ იხილეთ ცხრილში (2).

ცხრილი 2.

ფორმატის დასახელება	შეხვედრის თარიღი	ჯგუფის წევრთა რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	მონაწილეთა წილი ჯგუფის წევრთაგან
შშმ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი	12 ივნისი	26	28	86%
	9 ოქტომბერი		24	
	17 ოქტომბერი		15	
ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი	22 ოქტომბერი	22	16	73%
ტექნიკური სამუშაო ჯგუფი (TWG)	26 თებერვალი	40	18	51%
	7 მაისი		20	
	9 ივლისი		18	
	16 სექტემბერი		20	
	22 ოქტომბერი		25	
ვიმსჯელოთ ერთად	20 მაისი	55	33	55%
	26 ივნისი		34	
	31 აგვისტო		24	

ცესკოში შექმნილი შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრების დახმარებით, ცესკომ პირველად დისტანციურად გამართა ორი შეხვედრა უსინათლო და ყრუ ამომრჩევლებთან. შეხვედრებს დაესწრო 80 პირი, მათ შორის 50 იყო უსინათლო, ხოლო 30 – ყრუ. მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ცესკოს მიერ პარლამენტის არჩევნებისთვის შშმ პირებისთვის მისაწვდომი სერვისებისა და კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის შესახებ.

აღსანიშნავია მნიშვნელოვანი როლი, რომელიც სამუშაო ჯგუფმა შეასრულა უსინათლო ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის ახალი ფორმატით შემუშავებაში. კერძოდ, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფთან თანამშრომლობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით ცესკომ, უსინათლო ამომრჩევლებისთვის შეიმუშავა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა განსხვავებული ფორმატით. ჩარჩო/ფორმის ცვლილება განაპირობა პარლამენტის არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების რაოდენობის ზრდამ.

ამოცანა 2.1.4. გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

საარჩევნო ინფორმაცია პროაქტიულად გასაჯაროებელია, საჯარო ინფორმაცია გაცემულია და ანგარიშგება უზრუნველყოფილია

სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობა პოზიტიურად შეფასებულია

საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2020 წელს განხორციელებულმა საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიამ ხელი შეუწყო როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებას საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ. ინფორმირების მასშტაბური კამპანია ასევე განხორციელდა ახალი კორონავირუსის გავრცელების საფრთხის პირობებში არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებით. კამპანიის ფარგლებში გავრცელდა შემდეგი საინფორმაციო მასალები:

- 27 საინფორმაციო სარეკლამო რგოლი, მათ შორის ხუთი – პანდემიის პირობებში არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებით ამომრჩევლების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შესახებ და ხუთი – არასაარჩევნო პერიოდში;
- 72 სარეკლამო ბანერი საინფორმაციო სააგენტოების ვებგვერდებზე;
- 14 გარე ბანერი საქართველოს მასშტაბით;
- სარეკლამო მასალა ხუთ გარე მონიტორზე;
- სარეკლამო მასალა ვებგვერდებზე „Imovies.ge“ და „Myvideo.ge“;
- 370 სტატუსი ცესკოს Facebook გვერდზე სხვადასხვა საარჩევნო პროცედურის, პანდემიის პირობებში უსაფრთხო საარჩევნო გარემოს შექმნის, ხმის ფარულობის, ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემების გადამოწმების, ხმის მიცემის პროცედურების, ცესკოს მიერ შეთავაზებული სერვისების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა და ჩართულ მხარეებს ელექტრონული სახით დაეგზავნა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის 2019 წლის და საქართველოს პარლამენტის არჩევნების შუალედური ანგარიშები.

2020 წლის განმავლობაში, საარჩევნო ადმინისტრაციისგან საჯარო ინფორმაცია სხვადასხვა საკითხებზე 1 524-ჯერ იქნა მოთხოვნილი. აქედან, სრულად დაკმაყოფილდა – 1 490, ნაწილობრივ – 11 და უარი ეთქვა 23 მოთხოვნას.

შესაბამისი უფლებამოსილი პირები, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, ეყრდნობოდნენ საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული 23 გადაწყვეტილებიდან არც ერთი გადაწყვეტილება არ იქნა გასაჩივრებული.

საქართველოს პარლამეტის არჩევნების მეორე ტურის გამართვის გამო არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განევა საანგარიშო პერიოდში არ იყო დასრულებული. შესაბამისად, „საარჩევნო ხარჯების“ პორტალზე ინფორმაცია არჩევნების ხარჯების შესახებ აიტვირთა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. დეტალური მონაცემები ხარჯების შესახებ იხილეთ ბმულზე [https://electioncosts.cec.gov.ge/compare.php?search=1&_category\[\]=40](https://electioncosts.cec.gov.ge/compare.php?search=1&_category[]=40).

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) სწავლების ცენტრი ღია საჯარო დაწესებულებად დაასახელა და სპეციალური სიგელი გადასცა. სწავლების ცენტრმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი შეფასება მიიღო და ამ ჯილდოს მფლობელი მეხუთედ გახდა.

OSCE/ODIHR-ის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო ანგარიშში საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობა დადებითადაა შეფასებული – „ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულებები, ბრძანებები, საჩივრებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და სხდომების ოქმები ონლაინ სივრცეში საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო, რაც პროცესის გამჭვირვალობას უწყობდა ხელს“.

საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობას დადებითად აფასებს აგრეთვე IRI-ის არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისია – „ცენტრალური საარჩევნო კომისია ძალიან აქტიურად იყო ჩართული ამომრჩეველთა ინფორმირებაში. გლობალური პანდემიის ფონზე, ცესკომ გამოავლინა არჩევნების ჩატარებისა და ამომრჩეველთა ხმის მიცემის უფლების უზრუნველყოფისთვის მზაობა. საარჩევნო კომისიამ, მეტწილად, გამოაქვეყნა წესები COVID-19 პანდემიის დროს ხმის მიცემის ალტერნატიული გზების შესახებ. ეს ნაბიჯები უპრეცედენტო და აღსანიშნავი იყო“.

ამოცანა 2.1.5. საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გაძლიერება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატებისა და ინფორმირების მექანიზმების რაოდენობა

საერთაშორისო პარტნიორების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ დადებითი შეფასებების რაოდენობა

საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გასაძლიერებლად საარჩევნო ადმინისტრაციამ 2020 განმავლობაში გამოიყენა თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატი და შექმნა საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო მისიების, დიპლომატიურ წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების ინფორმირების შემდეგი მექანიზმები:

- დისტანციური საინფორმაციო შეხვედრა საკანონმდებლო ცვლილებებისა და საარჩევნო პროცესების შესახებ უცხო ქვეყნების საელჩოებისა და დელეგაციების წარმომადგენლებთან – შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 12-მა წარმომადგენელმა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ ინგლისურენოვანი ელექტრონული გამოცემის გავრცელება – გავრცელდა ორი სტატია საგანმანათლებლო პროექტების შესახებ, „ახალგაზრდების განათლება – ბამთრის სკოლები“ და „ახალგაზრდული ბანაკები“.

წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი აღიარება იყო, რომ სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების სრული მხარდაჭერით, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ACEEEO-ს პრეზიდენტი გახდა და 2020 წლის განმავლობაში, ერთი წლის ვადით ხელმძღვანელობდა. 2020 წელს, დისტანციურ რეჟიმში გაიმართა ACEEEO-ს აღმასრულებელი საბჭოსა და გენერალური ასამბლეის შეხვედრა, ასევე ACEEEO-ს 29-ე ყოველწლიური კონფერენცია, რომელსაც ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის პრეზიდენტის რანგში ხელმძღვანელობდა.

ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო შეფერხდა საზღვარგარეთ კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებსა და სადამკვირვებლო მისიებში საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობა. გაუქმდა/გადაიღო დაგეგმილი შვიდი ვიზიტი, 2021 წლისთვის გადაიღო საარჩევნო ადმინისტრაციების მე-10 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების ინფორმირების ეფექტიანი მექანიზმების გამოსავლენად ჩატარდა საარჩევნო საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების გამოკითხვა. კითხვარი გაეგზავნა 75 პირს, აქედან უკუკავშირის სახით მიღებული იქნა 28 შევსებული კითხვარი. მიღებული პასუხების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ რესპოდენტების უმრავლესობა ცესკოსთან კომუნიკაციას პოზიტიურად აფასებდა და საჭიროდ მიიჩნევდა არსებული ტენდენციის შენარჩუნებას.

საერთაშორისო პარტნიორებმა საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა საქმიანობების შესახებ შემდეგი მოსაზრებები გამოთქვეს:

”

„საარჩევნო ადმინისტრაციამ გამორჩეულად დიდი ძალისხმევა გასწია არჩევნების ადმინისტრირების და ორგანიზების კუთხით. ვიმედოვნებ, ამომრჩეველი დააფასებს იმ მართლაც მნიშვნელოვან და ვარგ სამუშაოს, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციამ შეასრულა, განსაკუთრებით ამ პერიოდში, იმ გამოწვევების ფონზე, რასაც ქმნის პანდემია“

კელი დებნანი. აშშ-ის ელჩი საქართველოში.

ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიასა აშშ-ის ელჩის კელი დებნანის შეხვედრა, 2020 წლის 31 ოქტომბერი.

„მიუხედავად Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული პირობებისა, თამარ ჟვანიას ხელმძღვანელობით, ცესკომ მაღალი პროფესიონალიზმით განახორციელა წინასაარჩევნო საქმიანობები“

რან ბილერი. ისრაელის ელჩი საქართველოში.

ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიასა ისრაელის ელჩის რან ბილერის შეხვედრა, 2020 წლის 31 ოქტომბერი.

„ცესკოს ინიციატივით და ხელშეწყობით, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატებისთვის შემუშავდა ქცევის კოდექსი, რომელსაც 40-მა პოლიტიკურმა პარტიამ ნებაყოფლობით მოაწერა ხელი და ამით თავისუფალი და მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს შექმნაში შეიტანა წვლილი. ქცევის კოდექსი საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებას ემსახურება. ჩვენთვის პატივია, რომ მოგვეცა საშუალება ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემუშავებისთვის ხელი შეგვეწყო“

საქართველოში შვეიცარიის საელჩოს facebook გვერდი, 2020 წლის 29 ოქტომბერი.

„ეს ძალიან ვარგი ინიციატივაა (იგულისხმება პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი) და ცენტრალური საარჩევნო კომისია შექმნას იმსახურებს“

კელი დებნანი. აშშ-ის ელჩი საქართველოში.

მოსაზრება „ქცევის კოდექსის“ შესახებ. ჟურნალისტებთან შეხვედრა 2020 წლის 14 სექტემბერი.

ამოცანა 2.1.6. არჩევნების შედეგების სწრაფი/დროული გასაჯაროების უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

არჩევნების წინასწარი შედეგები და შემაჯამებელი ოქმები შესაძლო უმოკლეს ვადებში გასაჯაროებული და ხელმისაწვდომია

არჩევნების შედეგების დროული გასაჯაროების უზრუნველსაყოფად საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის შეიქმნა შედეგების დამუშავებისა და გამოქვეყნების ახალი სისტემა. შემაჯამებელი ოქმების გასაჯაროება დაიწყო საარჩევნო უბნების დახურვიდან 7 საათსა და 25 წუთში და ხელმისაწვდომი იყო ყველა დაინტერესებული პირისთვის ვებგვერდზე <https://results.cec.gov.ge/>.

ცესკომ მოამზადა და გაავრცელა დეტალური ინფორმაცია 2012 წლიდან დღემდე ჩატარებული არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შესახებ. ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (3).

ცხრილი 3.

N	არჩევნები	საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა	საარჩევნო სუბიექტების რაოდენობა	წინასწარი შედეგების გამოცხადების დრო საარჩევნო უბნების დახურვიდან
1	2012 წლის პარლამენტის არჩევნები	ორი საარჩევნო ბიულეტენი პროპორციული/მაჟორიტარული	16	8 საათი
2	2013 წლის პრეზიდენტის არჩევნები	ერთი საარჩევნო ბიულეტენი	23	4 საათი
3	2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები	სამი საარჩევნო ბიულეტენი: 2 პროპორციულ/მაჟორიტარული საკრებულოს არჩევნებისთვის; 1 მერის/გამგებლის არჩევნებისთვის	24	6 საათი და 30 წუთი
4	2016 წლის პარლამენტის არჩევნები	ორი საარჩევნო ბიულეტენი: პროპორციული/მაჟორიტარული 1 საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის (7 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი); 1 მერის და გამგებლის რიგგარეშე არჩევნებისთვის (5 საარჩევნო ოლქი). 4 საარჩევნო ბიულეტენი: 2 პარლამენტის არჩევნებისთვის; 2 აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის	25	5 საათი და 30 წუთი

5	2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები/ I ტური	სამი საარჩევნო ბიულეტენი: 2 მაჟორიტარულ/ პროპორციული; 1 თვითმმართველი ქალაქის, ან თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისთვის	27	7 საათი და 20 წუთი
6	2017 წლის თვითმმართველი ქალაქის/ თვითმმართველი თემის მერის არჩევნები/ II ტური	ერთი საარჩევნო ბიულეტენი	12	4 საათი
7	2018 წლის პრეზიდენტის არჩევნები/ I ტური	ერთი საარჩევნო ბიულეტენი პრეზიდენტის არჩევნებისთვის; 1 საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის (2 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი)	25	5 საათი
8	2018 წლის პრეზიდენტის არჩევნები/ II ტური	ერთი საარჩევნო ბიულეტენი	2	4 საათი
9	2020 წლის პარლამენტის არჩევნები	ორი საარჩევნო ბიულეტენი: პროპორციული/მაჟორიტარული; ასევე, 1 ბიულეტენი საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის (4 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი); 1 მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებისთვის (5 საარჩევნო ოლქი). ოთხი საარჩევნო ბიულეტენი: 2 პარლამენტის არჩევნებისთვის; 2 აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის	50	7 საათი და 25 წუთი

საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის შედეგების გამოქვეყნებისას დაფიქსირდა ტექნიკური/პროგრამული ხარვეზი. საარჩევნო ადმინისტრაციის დროული რეაგირების შედეგად წინასწარი შედეგები უმოკლეს ვადებში გახდა ხელმისაწვდომი ალტერნატიული ფორმატით და შემდეგ დაუბრუნდა ჩვეულ ფორმატს.

მიზანი 2.2. უსაფრთხო საარჩევნო ბაიამოს ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ წარმართვის უზრუნველსაყოფად ეფექტიანი მექანიზმების განხორციელება;
- სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის გაძლიერება არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩატარების მიზნით.

ამოცანა 2.2.1. საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ წარმართვის უზრუნველსაყოფად ეფექტიანი მექანიზმების განხორციელება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტებისა და მათზე ეფექტური რეაგირების რაოდენობა

საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ წარმართვის მიზნით 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკომ და სწავლების ცენტრმა ჩაატარეს საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოება“ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების, დამკვირვებლად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, საარჩევნო სუბიექტებისა და მედია საშუალებების წარმომადგენლებისთვის. კურსი გაიარა საუბნო საარჩევნო კომისიების 9 569 ხელმძღვანელმა პირმა, 29 დამკვირვებელი ორგანიზაციის 45-მა, 15 საარჩევნო სუბიექტის 20-მა და 21 მედია ორგანიზაციის 25-მა წარმომადგენელმა.

გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაგეგმილი იყო 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების დროს გამოვლენილი საარჩევნო პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების აღრიცხვა და ანალიზი, რომელიც საანგარიშო პერიოდში არ განხორციელდა.

ამოცანა 2.2.2. სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის გაძლიერება არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩატარების მიზნით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

თანამშრომლობის მექანიზმი შექმნილია და პრევენციული ღონისძიებები განხორციელებულია

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით ცესკოს თავმჯდომარემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

მემორანდუმის ფარგლებში, სწავლების ცენტრმა შსს აკადემიასთან პარტნიორობით, განხორციელა პოლიციელთა გადამზადების დისტანციური პროგრამა არჩევნების უსაფრთხოების საკითხებზე. საინფორმაციო-სასწავლო კურსი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დანაყოფების 4 000-ზე მეტმა თანამშრომელმა გაიარა.

მიზანი 2.3. საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერ უსაფრთხოების ასილვას მიზნით

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გაუმჯობესება;
- კიბერ უსაფრთხოების გაუმჯობესება.

ამოცანა 2.3.1. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შემუშავებული მექანიზმების რაოდენობა

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით 2020 წლის განმავლობაში შემუშავდა და ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით ცვლილება შევიდა „ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში, დაზუსტდა ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და კონტროლის მექანიზმები.

გარდა ამისა, განახლდა და საკანონმდებლო/მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დოკუმენტაცია. კერძოდ, ცესკოს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, პოლიტიკის გავრცელების სფერო და რისკების მართვის მეთოდოლოგია.

ამოცანა 2.3.2. კიბერ უსაფრთხოების გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

აცილებული კიბერ ინციდენტების რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში კიბერ უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით შემონიშნა საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებული საინფორმაციო სისტემები. გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად განახლდა კიბერ-შეტევებისგან დამცავი სისტემების ორი ლიცენზია.

საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირების, USAID-ის და IFES-ის ხელმძღვანელების შეთანხმების შედეგად, პროექტის – „საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების მხარდაჭერა საქართველოში“ (EPPS) ფარგლებში, განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის საინფორმაციო ტექნოლოგიური აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

ცესკოში მოეწყო ახალი სასერვერო ინფრასტრუქტურა, რომელმაც შესაძლებელი გახადა კრიტიკული ინფორმაციის უფრო მაღალ დონეზე დაცვა და ამომრჩევლებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის განკუთვნილი ინტერნეტ სერვისების შეუფერხებელი და უსაფრთხო ფუნქციონირება.

ამასთან, კიბერ-ჰიჯინის ცნობიერების ამაღლების კურსის ფარგლებში ტრენინგებად გადამზადებულმა ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა, IFES-ის მიერ მოწვეულ ექსპერტთან თანამშრომლობით, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 100 თანამშრომელს ონლაინ კურსი ჩაუტარეს.

განხორციელებული საქმიანობების შედეგად ამაღლდა კიბერ შეტევების აცილების პოტენციალი.

სტრატეგიული პრიორიტეტი 3.
საარჩევნო სეზონები და ტექნოლოგიები

▷ სტრატეგიული პრიორიტეტი 3. საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგიები

საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ინოვაციური, ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია.

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს ოთხ სტრატეგიულ მიზანს:

- საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება;
- ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარება ტექნოლოგიების გამოყენებით;
- საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობა;
- საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა.

მიზანი 3.1. საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:

- საარჩევნო სერვისების მიწოდება, ოპერაციების სტანდარტიზაცია და ოპტიმიზაცია;
- საარჩევნო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გამარტივება ამომრჩევლებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის.

ამოცანა 3.1.1. საარჩევნო სერვისების მიწოდება, ოპერაციების სტანდარტიზაცია და ოპტიმიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

ერთგვაროვანი მიდგომები დანერგილია

საარჩევნო ოპერაციების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სტანდარტის შექმნამ და დანერგვამ უზრუნველყო საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო სერვისების დროული, ხარისხიანი და ერთგვაროვანი მიწოდება და საარჩევნო ოპერაციების ოპტიმიზაცია.


ცესკოდან სსკ-ებისთვის, ხოლო სსკ-ების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის საარჩევნო დოკუმენტაციის და ინვენტარის გადაცემის პროცესის სტანდარტიზაციამ შეამცირა ლოგისტიკური უზრუნველყოფის ხარჯვების ალბათობა, ასევე დაზოგა დრო და ადამიანური რესურსები.

საარჩევნო ადმინისტრაციამ 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები ჩაატარა კანონმდებლობის სრული დაცვით. დეტალური ინფორმაცია არჩევნების ორგანიზება/ჩატარების შესახებ იხილეთ ანგარიშში <https://cesko.ge/res/docs/AnnualParliament-20211.pdf>.

აღსანიშნავია, რომ ეNDI-ის დაკვეთით ჩატარებული, საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, საზოგადოებამ პოზიტიურად შეაფასა სიტუაცია საარჩევნო უბნებზე 2020 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების დროს. გამოკითხულთა 92% თვლიდა, რომ კორონავირუსთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები კარგად იყო დაცული; 94% თვლიდა, რომ საარჩევნო უბნები იყო მონესრიგებული; 89% თვლიდა, რომ არჩევნებზე პასუხისმგებელი პირები კარგად იყვნენ მომზადებულები; 89% თვლიდა, რომ საარჩევნო უბანი არ იყო გადაჭედილი და 92%-ის აზრით საარჩევნო უბანზე შემავიწროებელი/შემაშინებელი გარემო არ იყო. აღსანიშნავია, რომ 2018 წელთან შედარებით სიტუაცია საარჩევნო უბნებზე გაუმჯობესებულია, რასაც ადასტურებს NDI-ის მიერ 2020 წლის დეკემბერში ჩატარებული კვლევის შედეგები.

სიტუაცია საარჩევნო უბანზე

გთხოვთ, გაიხსენოთ როგორი სიტუაცია იყო საარჩევნო უბანზე და მითხარით, ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით შემდეგს? (q15)



ამოცანა 3.1.2. საარჩევნო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა იძლევა საარჩევნო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობას და პასუხობს ახალ გამოწვევებსა და მოთხოვნებს

საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ზოგიერთი სსკ-ს შენობაში მოწესრიგდა ელექტროგაყვანილობის, ვენტილაცია-კონდიციონერების, გათბობის სისტემა და შენობების სახურავები. ასევე, ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში მოეწყო კანცელარია.

კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიები განთავსდნენ შესაბამის შენობებში, რაც იძლეოდა კენჭისყრის დღის პროცედურების შეუფერხებლად განხორციელების საშუალებას. შენობების შერჩევის დროს გათვალისწინებული იყო ვენტილაციის შესაძლებლობა და კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლით განსაზღვრული ყველა სხვა მოთხოვნა.

2020 წელს ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ერთი გამოცდა. გამოცდაზე დარეგისტრირდა 1 097 მსურველი. გამოცდაზე გამოცხადდა 455 (რეგისტრირებულთა 42%) მონაწილე. გამოცდა წარმატებით ჩაატარა 135-მა (მონაწილეთა 30%) მონაწილემ.

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო, უარი ითქვა ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებაზე, კერძოდ, ცესკოს სხდომების ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვასა და ცესკოს სხდომათა ახალი დარბაზის მოწყობაზე. დაზოგილი რესურსები მიიმართა კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ამოცანა 3.1.3. საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გამარტივება ამომრჩევლებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეები გამოხატავენ კმაყოფილებას შეთავაზებული გამარტივებული სერვისების მიმართ

ჩართული მხარეებისთვის შეთავაზებული სერვისების რაოდენობა

ამომრჩევლებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გამარტივების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა ცვლილებები არჩევნების მართვის სისტემა „არმასში“. სისტემას დაემატა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისა და მათი წარმომადგენლების რეგისტრაციის ახალი მოდულები.

ცესკოში რეგისტრირებულმა 50 საარჩევნო სუბიექტიდან 46-მა ისარგებლა ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამით და ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში დაარეგისტრირა საარჩევნო სუბიექტების 2 008, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებში – 78 773 წარმომადგენელი.

ოთხმა უფლებამოსილმა პარტიამ ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამით საოლქო საარჩევნო კომისიებში დანიშნა 438 დროებითი წევრი და საუბნო საარჩევნო კომისიების 22 859 წევრი.

რეგისტრირებული 120 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციიდან დამკვირვებლების რეგისტრაცია განახორციელა 115-მა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ, მათ შორის 114-მა დაარეგისტრირა 46 493 ადგილობრივი დამკვირვებელი.

ცესკოში რეგისტრირებული 48 საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციიდან ელექტრონული პროგრამით ისარგებლა ექვსმა ორგანიზაციამ და რეგისტრაცია გაიარა 240-მა საერთაშორისო დამკვირვებელმა.

ცესკოში აკრედიტებული 104 მედიასაშუალების წარმომადგენლიდან 12-მა ისარგებლა ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამით და აკრედიტაცია გაიარა 3 924-მა წარმომადგენელმა.

2020 წლის განმავლობაში, პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუციებიდან გადმოცემული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ხუთჯერ სრულად და ერთხელ, საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურისთვის, ნაწილობრივ განახლდა ამომრჩეველთა ერთიანი სია. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ამომრჩევლებისთვის ამომრჩეველთა ერთიანი სია ხელმისაწვდომი იყო ასევე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ამომრჩევლებს ჰქონდათ ამომრჩეველთა ერთიანი სიაში პირადი და ოჯახის წევრების მონაცემების, ასევე საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობის გადამოწმების შესაძლებლობა. ცესკოს მიერ შეთავაზებული სერვისებით ამომრჩევლებმა 5 120 895-ჯერ ისარგებლეს, აქედან 5 060 987-მა – ცესკოს ვებგვერდის საშუალებით, 24 809-მა სწრაფი გადახდის ტერმინალით, 35 099-მა – Android და iOS ოპერაციული სისტემის გამოყენებით.

მიზანი 3.2. ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტიტუციების განვითარება ტექნოლოგიების გამოყენებით

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება;
- საინფორმაციო რესურსებისა და საკომუნიკაციო საშუალებების ეფექტიანად გამოყენება.

ამოცანა 3.2.1. ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

მომხმარებელთა მიერ ელექტრონული სერვისები პოზიტიურად შეფასებულია

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკომ საჩივრების რეესტრი ახალი სტრუქტურით ჩამოაყალიბა და სსკ-ების 74 ხელმძღვანელ პირს ჩაუტარა ტრენინგი პროგრამის მოხმარების შესახებ, რამაც უზრუნველყო საჩივრების რეესტრში ინფორმაციის დროული და სრულყოფილი განთავსების შესაძლებლობა.

ცესკოს ვებგვერდზე განთავსებული საჩივრების რეესტრი ყველა დაინტერესებულ პირს აძლევდა საჩივრებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავების, კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით საარჩევნო კომისიის/საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადანყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და დავასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო გადანყვეტილების შესახებ ინფორმაციის მოძიების საშუალებას. საანგარიშო პერიოდში გვერდი <https://sachivrebi.cec.gov.ge/#/> 4 710-მა მომხმარებელმა 36 647-ჯერ ნახა.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიგნებებისა და დასკვნების შესახებ ანგარიში მითითებულია, რომ ცესკოს ონლაინ მონაცემთა ბაზამ საჩივრების გადანყვეტის პროცესის გამჭვირვალობა გაზარდა.

საქართველოს პარლამენტის არჩევნების დროს, საარჩევნო სუბიექტების უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის პირობებში, არჩევნების წინასწარი შედეგების დამუშავებისა და გამოქვეყნების განახლებული ელექტრონული პროგრამის გამოყენებამ საარჩევნო ადმინისტრაციას კენჭისყრის შედეგების მისაღებ ვადებში გამოქვეყნების შესაძლებლობა მისცა.

21 ნოემბერს, საქართველო პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის წინასწარი შედეგების გამოქვეყნების დროს, სპეციალურ ვებგვერდზე www.results.cec.gov.ge, შიდა მოხმარების პროგრამიდან მონაცემების გამოქვეყნებისას დაფიქსირდა ტექნიკური/პროგრამული ხარვეზი. საარჩევნო ადმინისტრაციამ დროული რეაგირება მოახდინა და უმოკლეს ვადებში ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო მეორე ტურის წინასწარი შედეგები ალტერნატიული ფორმატით. ჩვეულ ფორმატში შედეგები მალევე გახდა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებულ პირისთვის.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შესაბამის მონაცემებზე წვდომა მოითხოვა და მოთხოვნა დაუკმაყოფილდა 11 მედიასაშუალებას, ხოლო ვებგვერდი www.results.cec.gov.ge 173 290-მა მომხმარებელმა 1 720 770-ჯერ ნახა.

ამოცანა 3.2.2. საინფორმაციო რესურსებისა და საკომუნიკაციო საშუალებების ეფექტიანად გამოყენება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

მომხმარებელთა კმაყოფილება გაზრდილია

საქართველოს პარლამენტის არჩევნების დროს ცესკოს ხელმძღვანელობის გადანყვეტილებით, სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში დაინერგა ახალი მიდგომა. კერძოდ, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ცესკოს აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან და სწავლების ცენტრიდან გამოიყო 22 პირი, რომლებიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებლები იყვნენ სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის ოპერატორების მიერ გადამისამართებულ ზარებზე ინფორმაციის გაცემაზე.


საარჩევნო პერიოდში სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იყო ქართულ, ხოლო საარჩევნო პერიოდში ასევე ინგლისურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ყუსტურ ენებზე, ასევე ხელმისაწვდომი იყო ვიდეო ზარის სერვისი ყველა პირისთვის. დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ პასუხების მიღება არასამუშაო საათებში დატოვებულ კითხვებზე, ონლაინ ჩათისა და ხმოვანი შეტყობინებების მეშვეობით როგორც

საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ოპერატორებმა გაიარეს ინტენსიური სასწავლო კურსი სხვადასხვა მიმართულებით.

2020 წლის განმავლობაში სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის სხვადასხვა მომსახურებით ამომრჩევლებმა 50 243-ჯერ ისარგებლეს. ყველაზე ხშირად განხორციელდა სატელეფონო ზარებითა და ონლაინ ჩათით მომსახურება, ხოლო ყველაზე ნაკლებად – მოკლე ტექსტური შეტყობინებებით. სტატისტიკური ინფორმაცია განუული მომსახურების შესახებ იხილეთ დიაგრამაზე (4).

დიაგრამა 4.

სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის მიერ განუული მომსახურება



საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული საინფორმაციო სერვისების გასაუმჯობესებლად განხორციელდა მოხმარებადი სერვისების იდენტიფიცირება და შეფასება. შეფასების შედეგები ასახულია სამუშაო ჯგუფის ანგარიშში. შეფასების დროს შესწავლილი იქნა შემდეგი საინფორმაციო სერვისებით სარგებლობის სტატისტიკური მონაცემები:

- სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი;
- ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი <https://cesko.ge/>;
- შედეგების ვებგვერდი <https://results.cec.gov.ge/>;
- ამომრჩეველთა ერთიანი სიის ვებგვერდი <https://voters.cec.gov.ge/>;
- საჩივრების გვერდი <https://sachivrebi.cec.gov.ge/>;
- სოციალური ქსელები;
- ელექტრონული რეგისტრაციების სერვისი.

გამოკვეთილი ტენდენციების შესაბამისად შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება სამოქმედო გეგმაში.

მიზანი 3.3. საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- საარჩევნო სისტემის, საკანონმდებლო სიახლეების იმპლემენტაცია და საკანონმდებლო ჩარჩოს ერთგვაროვანი აღქმის ხელშეწყობა;
- საარჩევნო პროცედურების გამარტივება და ტექნიკურ/პროცედურული საკანონმდებლო საკითხების დახვეწა. საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა მეორე ამოცანის განხორციელებას არ ითვალისწინებდა.

ამოცანა 3.3.1. საარჩევნო სისტემის, საკანონმდებლო სიახლეების იმპლემენტაცია და საკანონმდებლო ჩარჩოს ერთგვაროვანი აღქმის ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩართულ მხარეებთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებების ერთგვაროვნების პრაქტიკა არ სახელდება პრობლემად და გამოწვევად ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში

2020 წელს, საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწისა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა შემდეგი საქმიანობა:

- მოამზადა ძველი და ახალი ნორმების შედარების დოკუმენტი, განაახლა საარჩევნო დავებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტი და გამართა სამუშაო შეხვედრები სსკ-ების ხელმძღვანელი პირებთან;
- ჩაატარა ტრენინგი თემაზე „საარჩევნო დავების განხილვა – ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები“ საოლქო საარჩევნო კომისიების 124 ხელმძღვანელი პირისთვის შემდეგ საკითხებზე: კენჭისყრის დღესთან დაკავშირებული საარჩევნო დავები, დისციპლინური სახდელის გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკა, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. ტრენინგი ჩაატარეს საქართველოში CoE-ს ოფისის მიერ, IFES-ის ჩართულობით გადამზადებულმა ტრენერებმა.

მიუხედავად განული ძალისხმევისა, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შეფასების ანგარიშებში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ერთგვაროვნება კვლავ სახელდება გამოწვევად. OSCE/ODIHR-ის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო ანგარიშში აღნიშნულია – „არჩევნების შემდგომ შეტანილი საჩივრების გამჭვირვალედ, სამართლიანად და ერთგვაროვნად განხილვის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ საარჩევნო კოდექსმა ხმების ხელახლა დათვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან, ხმების ხელახლა დათვლის ჩატარებასთან და შედეგების გაუქმებასთან დაკავშირებით მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმები დაადგინოს. საოლქო საარჩევნო კომისიები საკმარისი რაოდენობის თანამშრომლებით უნდა იყვნენ დაკომპლექტებული და ისინი სათანადოდ უნდა იყვნენ მომზადებული, რათა მათ შეძლონ საჩივრების ეფექტურად განხილვა და ყველა მითითებული დარღვევის საფუძვლიანად გამოძიება“.

სტრატეგიული პრიორიტეტი 4.
ინკლუზიური სარევივნო ბაზემო

▷ სტრატეგიული პრიორიტეტი 4. ინკლუზიური საარჩევნო გარემო

თანაბარი, ყველასათვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს განვითარება, საარჩევნო პროცესში ყველა მხარის ჩართულობის ხელშეწყობა.

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ორ სტრატეგიულ მიზანს:

- საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის ხელშეწყობის გაუმჯობესება;
- თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა.

მიზანი 4.1. საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობა ხელმისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფით;
- საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა სპეციალური ჯგუფების ჩართულობის წახალისება.

ამოცანა 4.1.1. საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობა ხელმისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა

საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციამ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე საარჩევნო დოკუმენტაციისა და სხვა საინფორმაციო მასალების თარგმნით და საინფორმაციო/სარეკლამო მასალების მისაწვდომობის უზრუნველყოფით, მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარებით, საგრანტო კონკურსებში ეთნიკური უმცირესობების საკითხის გათვალისწინებით ხელი შეუწყო საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ამომრჩევლებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ხელმისაწვდომი იყო შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაცია და სხვა საინფორმაციო მასალა:

- საარჩევნო ბიულეტენი და ბიულეტენის შევსების წესი;
- ამომრჩეველთა ერთიანი სია;
- კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი;

- ცესკოს 2020 წლის 18 სექტემბრის №38/2020 „2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის დღისთვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუხლი 200 – „ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა დროებითი წესი“;
- ცესკოს თავმჯდომარის ინტერვიუ (საგაზეთო ჩანართი).

ითარგმნა და შესაბამისი რეგიონების ტელე და რადიო კომპანიების ეთერში განთავსდა აზერბაიჯანულ ენაზე 16 (მეორე ტურის გათვალისწინებით) და სომხურ ენაზე 13 საინფორმაციო რგოლი. სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ბეჭდური გამოცემა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით და განთავსდა გაზეთებში „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“.

ინფორმირების კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში ჩატარდა 40 შეხვედრა, მათ შორის ხუთი შეხვედრა მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფების წარმომადგენლებთან, ქისტებთან – ორი, ავარიელებთან – ორი და ბოშათა თემის წარმომადგენლებთან – ერთი. რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, გავრცელდა ყველა საინფორმაციო ფლაერი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, მათ შორის „ხმის მიცემის პროცედურები“-ს შესახებ.

ამომრჩეველთა აქტივობამ საქართველოს მასშტაბით შეადგინა 56.75 პროცენტი, ხოლო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების მასშტაბით – 55.65 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ უმნიშვნელო განსხვავება ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებლებს შორის მიუთითებს ამომრჩეველთა ჩართულობის თანაბარ დონეზე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებსა და საქართველოს სხვა რეგიონებში.

საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნებისთვის, სწავლების ცენტრის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსდა 19 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებმაც საინფორმაციო ხასიათის პროგრამები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განახორციელეს (დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 648 817.25 ლარი).

ამოცანა 4.1.2. საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის წახალისება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის წახალისებისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა

საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციამ შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით საარჩევნო უბნების აღჭურვილ, საინფორმაციო/სარეკლამო მასალების შშმ პირებისთვის მისაწვდომობით, შშმ ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის საკითხებზე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა გადამზადებით, არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა მონაწილეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციითა და საგრანტო კონკურსებში შშმ ამომრჩევლების საკითხის გათვალისწინებით ხელი შეუწყო საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობას.

საქართველოს პარლამენტის არჩევნების ორივე ტურის კენჭისყრის დღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საარჩევნო უბანზე ხელმისაწვდომი იყო შემდეგი სერვისები:

- ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის – ადაპტირებულ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა;
- მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის – ორი ცალი გამადიდებელი ლინზა;
- უსინათლო ამომრჩევლებისთვის – საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა;
- ამომრჩევლებისთვის ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული იყო კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი.

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკომ უსინათლო ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები განსხვავებული ჩარჩო/ფორმა შეიმუშავა. ჩარჩო/ფორმის ცვლილება განაპირობა პარლამენტის არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების რაოდენობის ზრდამ. კენჭისყრის დღეს გამოიყენებოდა ორი სახის ჩარჩო/ფორმა: ერთი – მხოლოდ პროპორციული ბიულეტენისთვის 50 ჭრილით და მეორე – ყველა დანარჩენი სახის ბიულეტენისთვის 30 ჭრილით. ორივე ჩარჩო/ფორმა გამოიყენებოდა როგორც ქართული, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის დამზადებული ბიულეტენებისთვის.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, განისაზღვრა ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის დროებითი წესი. ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის ცესკომ დაამზადა და სატელევიზიო ეთერში განათავსა ვიდეორგოლი აღნიშნული ცვლილების შესახებ. არჩევნების დროს საარჩევნო უბნის ცვლილება მოითხოვა და აღნიშნული სერვისით ისარგებლა ეტლით მოსარგებლე 14-მა პირმა.

საქართველოს მასშტაბით, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო 1 134 საარჩევნო უბანი (მარტივი ადაპტაცია – 239, პანდუსი – 895). ცესკოს ვებგვერდზე ბანერში „საარჩევნო რუკა“ განთავსდა დეტალური ინფორმაცია საარჩევნო უბნების შესახებ, მათ შორის დასურათებულ ფორმატში.

NDI-ის ანგარიშში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ აღნიშნულია – „მომავალ არჩევნებამდე, მთავრობა და ცესკო, შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ჯგუფებთან კონსულტაციის შედეგად, უნდა შეთანხმდნენ მისაწვდომობის საჭირო კრიტერიუმებზე და გადახედონ ადაპტირებულ უბნებს, ასევე უზრუნველყონ შესაბამისი ტრენინგები კომისიის ყველა წევრისთვის“.

ცესკოს მიერ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით მომზადებული ვიდეორგოლები ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის უზრუნველყოფილი იყო სურდოთარგმანით. ასევე ცესკოს საინფორმაციო ბრიფინგები პირდაპირ ეთერში შექდებოდა სურდოთარგმანის თანხლებით. ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველს ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ შეეძლოთ ინფორმაციის მიღება ვიდეო ზარის საშუალებით სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორისგან. ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდები სრულად მისაწვდომი იყო უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის. ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ოპერატორის პოზიციაზე დასაქმებული იყო ორი შშმ პირი, რომლებმაც გაიარეს ინტენსიური სწავლება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობისთვის მომზადდა სპეციალური ინსტრუქცია, რომლის მიხედვით გადამზადდა 73 სსკ-ს ხელმძღვანელი პირი. ამავე ინსტრუქციის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის, IFES-თან თანამშრომლობით, შემუშავდა დისტანციური სასწავლო პროგრამის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა“ ტესტები. პროგრამაში რეგისტრირებულთა რაოდენობა შეადგენდა 17 422-ს, ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 2 427-მა (რეგისტრირებულთა 14%), წარმატებით გაიარა და სერტიფიკატი მიიღო 1 916-მა პირმა (ტესტირებაში მონაწილეთა 79%).

საარჩევნო მიმართულებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა ინფორმირების ხელშეწყობის მიზნებისთვის, სწავლების ცენტრის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსდა 6 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებმაც შესაბამისი საინფორმაციო ხასიათის პროგრამები განახორციელეს (დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 117 850 ლარი).

IRI-ის არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისიის ანგარიშში აღნიშნულია – „ცესკომ გადადგა მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი ნაბიჯები საარჩევნო პროცესში ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის: საარჩევნო მასალების გავრცელება უმცირესობების ენებზე, უსინათლოთათვის სპეციალური ხმის მისაცემი ჩარჩოების უზრუნველყოფა, საინფორმაციო ვიდეოების ჟესტურ ენაზე თარგმნა და ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობის გაზრდა ეტლით მოსარგებლეთათვის. ეს უპრეცედენტო მიღწევები უნდა შენარჩუნდეს“.

მიზანი 4.2. თანაბარი საარჩევნო ბაიეჟოს ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელება;
- საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისება.

ამოცანა 4.2.1. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა

პორტალის შექმნით, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას 2014 წლიდან ჩატარებული არჩევნების შესახებ დამუშავებულ ფორმატში (Excel) საარჩევნო ადმინისტრაციამ ხელი შეუწყო საარჩევნო ინფორმაციის, მათ შორის გენდერულ ჭრილში, ხელმისაწვდომობას ჩართული მხარეებისთვის. პორტალი სხვადასხვა წლებში ჩატარებული ერთი ტიპის არჩევნების მონაცემების შედარების შესაძლებლობას იძლევა. პორტალის სრულად ამოქმედება ხელს შეუწყობს გენდერული საკითხებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემცირებას.

2019 წელს ჩატარებული საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის თანამონაწილეობით გენდერული აუდიტის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- გენდერული სტატისტიკა და მისი პრეზენტაცია გამდიდრდა მონაცემებით სხვადასხვა ჭრილში;
- შეიქმნას ონლაინ პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს მონაცემების დინამიკაში დაკვირვების საშუალებას აძლევს;
- კომუნიკაციის სტრატეგიის „გზავნილების“ ნაწილში ცალკე გამოიყო გენდერული თანასწორობის საკითხი;
- საინფორმაციო/საკომუნიკაციო მასალების ანალიზისთვის შეიქმნა „გენდერული მარკერები“;
- კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩეველს“ ჩატარებისას, ამომრჩევლებთან შეხვედრებზე დროს, უზრუნველყოფილია გენდერულ წარმომადგენლობა;
- თანამშრომელთა კმაყოფილების კითხვარში მოხდა გენდერული მენისტრიმინგის პრინციპების და გენდერული საკითხების ინტეგრირება;
- შემუშავდა შიდა პოლიტიკა სექსუალური შევიწროვების შესახებ.

ამოცანა 4.2.2. საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისების მიზნით გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა

საარჩევნო ადმინისტრაციამ, სწავლების ცენტრთან თანამშრომლობით, პოტენციური კანდიდატი ქალების შესაძლებლობის განვითარებაზე ორიენტირებული სპეციალური საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის ჩატარებითა და საგრანტო კონკურსებში ქალთა საარჩევნო უფლების საკითხის გათვალისწინებით წახალისა საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობა.

17 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისა და არჩევნებისთვის რეგისტრირებული 66 პოლიტიკური პარტიისთვის შეთავაზებულ ტრენინგში „ქალთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა პასიური საარჩევნო უფლების განსახორციელებლად“ მხოლოდ 12-მა პოლიტიკურმა პარტიამ წარმოადგინა 94 პოტენციური კანდიდატი ქალი. მათგან რვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა 26-მა (მსურველთა 28 პროცენტი) პოტენციურმა კანდიდატმა ქალმა დისტანციურად გაიარა ტრენინგი და გაეცნო კანდიდატისთვის მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებს. საყურადღებოა, რომ ტრენინგში მონაწილე 26 ქალიდან მხოლოდ სამი იყო დასახელებული კანდიდატად.

საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისების ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრის მიერ მოცხადებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსდა 9 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებმაც შესაბამისი საინფორმაციო ხასიათის პროგრამები განახორციელეს (დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 175 830 ლარი).

სტრატეგიული პრიორიტეტი 5.

მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური ბაძლიერება



სტრატეგიული პრიორიტეტი 5. მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გაძლიერება

მართვის ეფექტიანობის ზრდისა და ინსტიტუციური სრულყოფის შედეგად არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის სათანადო ხარისხის სერვისების მიწოდება.

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს ორ სტრატეგიულ მიზანს:

- მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესება;
- ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება.

მიზანი 5.1. მაქსიმალური ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ხუთი ამოცანის გადაჭრა:

- ხარისხის მართვის სტანდარტის (ISO) განვითარება;
- რისკებისა და კრიზისების მართვის შესაძლებლობების განვითარება;
- ელექტრონული ინსტრუმენტების საშუალებით მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით მექანიზმების დახვეწა.

ამოცანა 5.1.1. მართვის ხარისხის სტანდარტის (ISO) განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

მართვის ხარისხის სტანდარტის (ISO) შენარჩუნებულია და საკონტროლო აუდიტი წარმატებით გავლილია

ცესკომ დისტანციურად გაიარა პირველი საერთაშორისო საკონტროლო აუდიტი და არჩევნების მართვის სფეროში ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის – ISO 9001:2015 განახლებული სერტიფიკატი მიიღო.

ცესკოში არსებული ხარისხის მართვის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშავა ხარისხის განვითარების 2020 წლის სტრატეგიული პროგრამა და ცესკოს შიდა აუდიტის 2020 წლის გეგმა. ასევე განაახლა SWOT ანალიზის, რისკებისა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინის დოკუმენტები.

ორგანიზაცია „მენეჯმენტის სისტემებთან“ თანამშრომლობით, ჩატარდა შიდა აუდიტი. სააკრედიტაციო ავსტრიული ორგანიზაციის „ტუვ ავსტრიის“ (TUV AUSTRIA CERT GMBH) წარმომადგენლების მიერ, დისტანციურად განხორციელდა პირველი საერთაშორისო საკონტროლო აუდიტი. ორივე სახის აუდიტი დასრულდა დადებითი შედეგებით. შესაბამისა საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან არ გამოვლენილა.

ამოცანა 5.1.2. რისკებისა და კრიზისების მართვის შესაძლებლობების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

რისკები იდენტიფიცირებულია და კრიზისების მართვის მექანიზმები შემუშავებულია

ხარისხის მართვის სისტემის (ISO) ფარგლებში, განახლდა რისკების დოკუმენტი, ხოლო კრიზისების მართვის მექანიზმები არ შემუშავებულა.

ამოცანა 5.1.3. ელექტრონული ინსტრუმენტების საშუალებით მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

ელექტრონული შესაძლებლობები შექმნილი და დანერგილია

დროის რეალურ რეჟიმში ცესკოს საქმიანობის დაგეგმვის პროცესის მართვისა და საქმიანობის განხორციელების მონიტორინგისთვის შემუშავდა სპეციალური ელექტრონული პროგრამა.

2020 წლის განმავლობაში ჩატარდა პროგრამის ტესტირება და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირებს ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის გამოყენების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ძირითადი ნაწილი შეიქმნა და შესაბამისი ინფორმაცია აიტვირთა, პროგრამა არ იყო გამართული იმდენად, რომ დაგეგმვისა და ანგარიშგების პროცესი მხოლოდ პროგრამის მეშვეობით განხორციელებულიყო.

ამოცანა 5.1.4. ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

ინსტიტუციური ეფექტიანობის ხელშემწყობი მექანიზმები გაუმჯობესებულია

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმის, აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობის გეგმის შემუშავებითა და საოლქო საარჩევნო კომისიებში ფინანსების მართვის გაუმჯობესებით გაჩნდა ინსტიტუციური ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობა.

საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე. გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიასა და მკაფიოდ განსაზღვრულ ინსტრუმენტებს.

ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობის გეგმის განხორციელებამ ხელი შეუწყო ცესკოსა და სსკ-ების კოორდინირებულ საქმიანობას.

სპეციალურად შექმნილი სახელმძღვანელოსა და სატრენინგო მოდულის მიხედვით ჩატარებულმა ტრენინგმა აამაღლა სსკ-ების წევრებისა და თანამშრომლების კვალიფიკაცია ფინანსების მართვის, სახელმწიფო შესყიდვის, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების საკითხებში.

ამოცანა 5.1.5. შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით მექანიზმების დახვეწა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

ინფორმაციის დროული ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია

შიდა კომუნიკაციის მექანიზმების დახვეწის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციამ დაგეგმა საარჩევნო ადმინისტრაციის ელექტრონული შიდა საკომუნიკაციო ქსელის – HR პორტალის შექმნა. სამუშაო პროცესში წარმოშობილი პროგრამული ხარვეზების გამო, 2020 წელს საქმიანობა გაუქმდა.

მიზანი 5.2. ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:

- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება და წახალისება;
- ორგანიზაციული ეთიკისა და კორპორატიული კულტურის განმტკიცება.

ამოცანა 5.2.1. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

პროფესიული განვითარების მექანიზმების რაოდენობა

2020 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ახლად დანიშნული/არჩეული თანამშრომლებისთვის საორიენტაციო პროგრამისა და სსკ-ების მოქმედი წევრებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩატარებით, აგრეთვე ტრენინგების წლიური გეგმისა და ცესკოს აპარატში მენტორინგის განხორციელებით ხელი შეუწყო თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას.

კვალიფიციური ადამიანური რესურსის რეზერვის შესაქმნელად, საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრატორის კურსი.

ინფორმაცია თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის და სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული სასწავლო პროგრამების შესახებ იხილეთ ცხრილში (4).

ცხრილი 4.

სასწავლო პროგრამის დასახელება	პროგრამის მონაწილეები	პროგრამის მონაწილეთა რაოდენობა
საორიენტაციო სასწავლო პროგრამა	ახლად დანიშნული/არჩეული თანამშრომლები	54
არჩევნების მიმოხილვა – ზოგადი სასწავლო კურსი		20
შრომითი ურთიერთობები		32
საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა (eDocument)		2
სასწავლო პროგრამა „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები – საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის“	საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრები	7104
საქმისწარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების ტრენინგი	სსკ-ების თავმჯდომარეები და მდივნები	150
არჩევნების მართვის სისტემა „არმასი“-ს ინსტრუქტაჟი	ცესკოს საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლები და სსკ-ების წევრები	130
ტრენინგები საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების საკითხებზე	სსკ-ების წევრები	124

საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად შემუშავდა ტრენინგების კონცეფცია. კონცეფციის შესაბამისად არჩევნების პირველი ტურისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ინსტრუქტაჟი ორ, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები ოთხ ეტაპად ჩატარდა. პარლამენტის არჩევნების მეორე ტურისთვის, კონცეფციის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა ორ ეტაპად. ტრენინგები ჩატარდა 190-მა გადამზადებულმა ტრენინგმა. დეტალური ინფორმაცია ტრენინგის თემებისა და მონაწილეთა სტატისტიკის შესახებ იხილეთ ბმულზე <https://cesko.ge/res/docs/AnnualParliament-20211.pdf>.

ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის შედეგად მომზადდა და ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა ტრენინგების წლიური გეგმა. გეგმის მიხედვით ჩატარდა 16 ტრენინგი და გადამზადდა 1 032 პირი. ინფორმაცია გეგმის მიხედვით ჩატარებული ტრენინგების შესახებ იხილეთ ცხრილში (5).

ცხრილი 5.

სასწავლო კურსის დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
პერსონალურ მონაცემთა დაცვა	65
ეფექტური კომუნიკაცია და კონფლიქტების მართვა	34
სოციალური მედიის მართვა	11
სტრატეგიული კომუნიკაცია	18
კიბერ-ჰიგიენა	100
პოზიციონირება და ეფექტური კომუნიკაცია	381
ჰიბრიდული დეზინფორმაცია	24
მოხელის მენეჯერული უნარები	5
პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი	4
პროგრამული უზრუნველყოფა MD-100T00-A: Windows 10	4
პროგრამული უზრუნველყოფა Administration of the Red Hat Enterprise Linux Operating System. Part II	1
სერვერების მომსახურება MS 20744C: Securing Windows Server	4
ქსელის უსაფრთხოება Certified Application Security Engineer (CASE) CASE.net	1
საინფორმაციო შეხვედრები სსკ-ების თავმჯდომარეებისა და მდივნებისთვის	160
ელექტრონული კურსი სსკ-ებში პარტიების მიერ დასანიშნი პოტენციური წევრებისთვის	220

ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ცესკოს აპარატში მენტორის სტატუსი მიენიჭა ოთხ პირს, რომლებმაც მენტორობა გაუწიეს ცხრა შევირდს. მენტორების მიერ წარდგენილი ანგარიშების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მენტორინგის ინსტიტუტი საჭიროებს გადახედვას.

ამოცანა 5.2.2. ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება და წახალისება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

კვალიფიციური ადამიანური კაპიტალი შენარჩუნებულია, წახალისების მექანიზმები დანერგილია

ცესკომ ადამიანური კაპიტალის შენარჩუნებისა და წახალისების მიზნით ჩატარა საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილეთა დასაქმების ანალიზი და შეისწავლა ცესკოს აპარატის თანამშრომელთა მოტივაციისა და სამუშაო კმაყოფილების დონე.

ცესკოს საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილეთა დასაქმების ანალიზის თანახმად, საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიებში დასაქმებული პირებიდან „საარჩევნო განვითარების სკოლა“ გავლილი ჰქონდა – 169, „ახალგაზრდული ბანაკები“ – 14, „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ – 9 841 პირს. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლის“ 34 მონაწილე დასაქმდა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და ტექნიკურ და ადმინისტრაციულ დახმარებას უწევდა სსკ-ს.

ცესკომ აპარატის თანამშრომელთა მოტივაციისა და სამუშაო კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა მიიღო 61-მა თანამშრომელმა, რაც ნაცვლად ინდიკატორით განსაზღვრული არანაკლებ 70 პროცენტისა, დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობის 49 პროცენტს შეადგენდა. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები მოტივაციის სისტემის შექმნის, გუნდურობის განმტკიცებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

ცესკოს მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგების პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ საჭიროა კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების ეფექტური მექანიზმების შემუშავება.

ამოცანა 5.2.3. ორგანიზაციული ეთიკისა და კორპორატიული კულტურის განმტკიცება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

ორგანიზაციული ეთიკის და კორპორატიული კულტურის განსამტკიცებლად განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა

კორპორატიული კულტურის განმტკიცების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების უმეტესობა მოითხოვდა თანამშრომელთა გამოცხადებას ღონისძიების ჩატარების ადგილას. შესაბამისად, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული დისტანციური სამუშაო რეჟიმის გამო დაგეგმილი ღონისძიებები გაუქმდა. განხორციელდა მხოლოდ სამი სოციალური აქცია:

- საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების სურვილით, პირადი ფინანსური შემოსავლებიდან, 24 880 ლარი გადაირიცხა ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ შექმნილ StopCoV ფონდში;
- აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისსა და საქართველოს რამდენიმე რეგიონში, დახმარება გაენია სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან 19 ოჯახს;
- საახალწლოდ, ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა მარტოხელა, ხანდაზმულ პირებს, მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ 32 ოჯახს თბილისსა და რამდენიმე რეგიონში საკვები პროდუქტების შესაძენი ბარათები გადასცეს. ასევე, მათ გადაეცათ პანდემიის პირობებში ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

ქვეყნის

დასკვნა

საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმით, დაგეგმილი იყო 93 საქმიანობის განხორციელება, რომლებიც ძირითადად სრულყოფილად და დროულად შესრულდა. ინდიკატორების შეფასების ჭრილში, სრულად განხორციელდა 80, ნაწილობრივ შესრულდა – ორი, არ განხორციელდა 11 საქმიანობა. კერძოდ:

ნაწილობრივ შესრულდა სამი საქმიანობა:

- 2.1.5.4. კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებში, სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობა;
- 5.1.3.1. დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის დანერგვა.

არ განხორციელდა 11 საქმიანობა:

წინამდებარე ანგარიშში მოცემული შეფასება ცესკოს სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი წყაროების ანალიზს ეფუძნება. აღნიშნულის გათვალისწინებით, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ მითითებული საქმიანობის სტატუსები შემდეგი საქმიანობების შედეგის ინდიკატორებისთვის შეიცვალა:

საქმიანობა	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის შეფასება	საბოლოო შეფასება
1.1.1.1. საჯარო სკოლებში XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის განხორციელება.	შეჩერებულია	არ განხორციელდა
1.1.1.8. პენიტენციური სისტემის წარმომადგენლებისთვის საინფორმაციო პროგრამის „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზება“ განხორციელება.	გაუქმებულია	არ განხორციელდა
1.2.3.1. სამუშაო შეხვედრის გამართვა არჩევნებში ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ.	არ განხორციელდა	არ განხორციელდა
2.1.5.5. საარჩევნო ადმინისტრაციების მე-10 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება (შეხვედრის მონაწილეობა).	არ განხორციელდა	არ განხორციელდა
2.2.1.3. საარჩევნო პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების აღრიცხვა და ანალიზი.	არ განხორციელდა	არ განხორციელდა
3.1.2.1. ცესკოს სხდომების ელექტრონული მართვის დანერგვა.	შეჩერებულია	არ განხორციელდა

5.1.4.5. საარჩევნო ადმინისტრაციისა და ცესკოს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციის შიდა აუდიტის განხორციელება.	არ დაწყებულა	არ განხორციელდა
5.1.4.6. შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი.	არ დაწყებულა	არ განხორციელდა
5.1.5.1. საარჩევნო ადმინისტრაციის ელექტრონული შიდა საკომუნიკაციო ქსელის – HR პორტალის გაუმჯობესება.	გაუქმებულია	არ განხორციელდა
5.2.2.3. კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების ეფექტური მექანიზმის დანერგვა.	მიმდინარე მეტწილად შესრულდა	არ განხორციელდა
5.2.3.1. კორპორატიული კულტურის განსამტკიცებლად ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.	მიმდინარე-ნაწილობრივ შესრულდა	არ განხორციელდა

გარდა გეგმით გათვალისწინებულისა, ცესკოს სტრუქტურულმა ერთეულებმა და სწავლების ცენტრმა განხორციელეს სხვა დამატებითი საქმიანობები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საარჩევნო კულტურისა და განათლების განმტკიცებას, არჩევნების სანდობასა და უსაფრთხოებას, საარჩევნო სერვისებისა და ტექნოლოგიების დანერგვას, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარებასა და მართვის ეფექტიანობასა და ინსტიტუციურ გაძლიერებას.

ცენტრის სტრუქტურული ერთეულები

ამომრჩეველთა სიებისა და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი

გიორგი სეხნიაშვილი, დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

გიორგი სანტურიანი, დეპარტამენტის უფროსი

სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ელისაბედ ველიძე, დეპარტამენტის უფროსი

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ქეთევან დანგაძე, დეპარტამენტის უფროსი

საფინანსო დეპარტამენტი

ოთარ ბუსკივაძე, დეპარტამენტის უფროსი

საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

კახაბერ ჟამურაშვილი, დეპარტამენტის უფროსი

კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი

სოფიო სიჭინავა, დეპარტამენტის უფროსი

შიდა აუდიტის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი

ვალერიან მაისურაძე, დეპარტამენტის უფროსი

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

გიორგი კალანდარიშვილი, დეპარტამენტის უფროსი

საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ეკა ცაბაშვილი, დეპარტამენტის უფროსი

პრეს-სპიკერი

ანა მიქელაძე

ნათია ბარნაძე

თავმჯდომარის მრჩეველები

თამაზ შარმანაშვილი

ავთანდილ ცისკარიძე

ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი

ირაკლი თვალთაშვილი

სსიპ-საარჩევნო სისტემების, განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ნათია ბაალიშვილი, სწავლების ცენტრის დირექტორი



ცენტრო

საქართველოს სწავლად
აღმშენებლობა



საარქიტექტო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი